ევროკავშირის ინსტიტუციური გავლენა არაწევრი სახელმწიფოების ინსტიტუციურ ტრანსფორმაციაზე

მარიამ ხაჩირაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პოლიტიკის მეცნიერება (საერთაშორისო ურთიერთობები)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ფავლენიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომელიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“

მარიამ ხაჩირაშვილი

15.06.2023

მადლობა

მინდა პიროვნული და პროფესიული მადლიერება გამოვხატო ყველა იმ ადამიანის მიმართ, ვინც მცირეოდენი წვლილიც კი შეიტანა ჩემი სამაგისტრო ნაშრომის კვლევისა და წერის პროცესში.

მადლიერება მინდა გამოვხატო ჩემი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის, ნინო ფავლენიშვილისადმი, ვინც ნაშრომის შექმნის პროცესში თავისი ცოდნითა და პროფესიული გამოცდილებით მომცა მიმართულება და საჭირო რჩევები კვლევის სრულყოფილად შესასრულებლად.

მადლობა მინდა გადავუხადო დარგის ყველა იმ სპეციალისტს, რომელმაც დრო დამითმო და დეტალური ინფორმაცია მომაწოდა ნახევრად-სტრუქტურირებული ინტერვიუების ჩაწერისას.

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს განსაზღვროს ევროკავშირის სტრატეგიები კანდიდატი სახელმწიფოებისთვის და გამოკვეთოს ურთიერთობათა ფორმები გაერთიანებასა და არაწევრ ქვეყნებს შორის. შესაბამისად ნაჩვენები იქნება რა გავლენას ახდენს ევროკავშირი არაწევრი სახელმწიფოების ინსტიტუციურ ტრანსფორმაციაზე ევროინტეგრაციის გზაზე, რა ინსტრუმენტებს იყენებს EU არაწევრ სახელმწიფოებთან მიმართებაში და როგორ მუშაობს ეს ინსტრუმენტები. კვლევის ძირითადი კითხვაა: რა მექანიზმებს იყენებს ევროკავშირი პრობლემური სახელმწიფოების გაწევრიანების გზაზე და როგორ ხდება მათი შერჩევა?

კვლევის კითხვაზე დედუქციურად ჩამოყალიბდა შემდეგი ჰიპოთეზა: ევროკავშირი ითვალისწინებს კანდიდატი სახელმწიფოს შიდა (ენდოგენურ) გამოწვევებს და თარგეთირებული ინსტიტუციური სტრატეგიით ცდილობს იმოქმედოს სახელმწიფოზე ეგზოგენურად ენდოგენური ინსტიტუციური ცვლილებების მისაღებად.

ნაშრომის საკვლევ კითხვაზე პასუხის გასაცემად და ჰიპოთეზის ტესტირებისთვის კვლევა წარიმართა შერეული თვისებრივი მეთოდების გამოყენებით. სამაგიდო კვლევის მეთოდით განისაზღვრა ევროკავშირის მოქმედების მიდგომები და სტრატეგიები, დამოკიდებულებები არაწევრ სახელმწიფოებთან მიმართებაში. Case Study-სთვის შერჩეულ იქნა ოთხი სახელმწიფო: ბულგარეთი, რუმინეთი, ლატვია და საქართველო; მოხდა მათი შესწავლა და შედარებითი ანალიზით ნაჩვენები იქნა ევროკავშირის გავლენით სახელმწიფოთა ინსტიტუციური ტრანსფორმაციის პროცესი. ფოკუსირება მოხდა მსგავსება- განსხვავების ტენდენციებზე.

საკვანძო სიტყვები:ევროკავშირის პირობითობა, სოციალიზაცია, ევროპის სამეზობლო პოლიტიკა, ქსელური მმართველობა, ბულგარეთი, რუმინეთი, ლატვია, საქართველო.

ABSTRACT

This paper main purpose is define EU strategies for candidate states and outline the forms of relations between the Union and non-member countries. Accordingly, it will be shown what influence the EU has on the institutional transformation of non-member states on the way to European integration, what tools the EU uses in relation to non-member states and how these tools work. The main question of the research is, what mechanisms does the European Union use on the way to the accession of problematic states and how are they selected?

The following hypothesis was deductively formed based on the research question: the European Union takes into account the internal (endogenous) challenges of the candidate state and with a targeted institutional strategy tries to influence the state exogenously to obtain endogenous institutional changes.

To answer the research question of the paper and to test the hypothesis, the research conducted using mixed qualitative methods. The approaches and strategies of the European Union's actions, attitudes towards non-member states were determined by the Desk Research Method; Four countries were selected for Case Study: Bulgaria, Romania, Latvia and Georgia; They were studied and a comparative analysis showed the process of institutional transformation of the states under the influence of the European Union. The focus was on similarity-difference trends.

Key words: EU conditionality, socialization, European neighborhood policy, network governance, Bulgaria, Romania, Latvia, Georgia.